ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

43 (9983) • 26 noemberi • 2012 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ოზურგეთის 2013 წლის ბიუჯეტის განხილვა დაიწყო

გაზეთი „ალიონი“

გასულ ხუთშაბათს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ოზურგეთის 2013 წლის ბუუჯეტის განხილვა დაიწყო. განხილვას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი სამსახურების წარმომადგენლები, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის და მედიის წარმომადგენლები.

ზოგადად განხილვას უინტერესოდ არ ჩაუვლია. საკრებულოს თავმჯდომარე დამსწრეებს მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდებდა.

ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კობა ხაბალაშვილმა წარმოადგინა.

პირველი შენიშვნა განხილვაზე საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის თავმჯდომარე ლევან ხინთიბიძემ გააკეთა. მისი თქმით, ბიუჯეტში გათანაბრებითი ტრანსფერი ყოველთვის იყო მზარდი, თუმცა 2013 წლის პროექტში არის კლებადი, რაზედაც გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსის ლია ქათამაძიძის შესაბამისი განმარტება მიიღო...

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის დადგენილებით, გაზრდილია თანამდებობრივი სარგოები, თუმცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ამ თემაზე ჩამოყალიბებული არ არის. ამ შემთხვევაში ადგილობრივ ბიუჯეტს 800 ათასი ლარის დამატებით გაცემა მოუწევს. ამასთანავე ითქვა, რომ შესაძლებელია ხელფასების მატება რანგირების მიხედვით მოხდეს და საატესტაციო კონკურსი ჩატარდეს.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ექსპერტმა ირაკლი პაპავამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებს მომავალი წლის 3 თვის განმავლობაში უწევთ ატესტაცია.

მუნიციპალიტეტის იურისტმა თავაძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში ცალკეული სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი პოსტს 3 თვეზე მეტი ხნით არ დაიკავებს.

ლევან მეავანაძემ ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ინიციატივაზე ისაუბრა და შეზღუდული უნარის მქონე ბავშვებისათვის მუნიციპალიტეტის 5 სკოლაში პანდუსების მოწყობა ითხოვა, რომელიც ბიუჯეტს დაახლოებით 6 ათასი ლარი დაუჯდება. ამით ამ ბავშვების სოციალური ადაპტაცია მოხდება. ანასეულის ხანდაზმულთა სახლისთვის კი ბიუჯეტიდან გარკვეული დაფინანსებაა გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში დაახლოებით 150 ბავშვის მშობელი გადასახადს არ გადაიხდის, რისთვისაც ბიუჯეტი 30 ათას ლარს გამოყოფს. უსახლკაროთათვის 2013 წელს 150 ათასი ლარი გამოიყოფა.

ბიუჯეტი დაეხმარება დიალეზით დაავადებულთ ტრანსპორტირებაში, თუმცა ჯერ-ჯერობით არ იგეგმება რეგიონში დიალეზის აპარატის შეძენა, რაც მეტად საშური საქმეა.

ლევან ხინთიბიძის აზრს, რომ მუნიციპალურ ტრანსპორტში მოხდეს გარკვეულ პირებზე მომსახურების შეღავათების გაწევა, უარყოფითი პასუხი შეხვდა იმ მოტივით, რომ ასეთი ტრანსპორტი მხოლოდ ვაკიჯვარში, ლიხაურში, შემოქმედში, ჯუმათსა და ლაითურში დადის და უხერხულობას გამოიწვევს სხვა სოფლების მცხოვრებთა შორის (?!). მამეშვილის თქმით, სპეციალური კომისია შეისწავლის საცხენოსნო კლუბ „მარულას“ დაფინანსების მიზანშეწონილობის საკითხს.

განათლების, კულტურის, ჯანდაცვის და სპორტის კომისიის თავმჯდომარე ირინა საჯაიამ დეტალურად წარმოადგინა თუ რაში უნდა დაიხარჯოს კულტურულ-სპორტული ღონისძიებისათვის გათვალისწინებული 151 ათასი ლარი.

დახმარებები იგეგმება საფეხბურთო კლუბ „მერცხალისათვის.“ კლუბი ლაშეს სტადიონის გადაცემას და იქ ერთი შტატის გახსნას ითხოვს. სტადიონის ტრიბუნების გასაახლებლად 5 ათასი ლარის გამოყოფას გეგმავენ. მომავალი წლიდან გათვალისწინებულია მკლავჭიდის სექციის გახსნაც. სახელფასო ფონდი გაეზრდება საბავშვო თეატრს, ურეკის კულტურის სახლს, ხოლო სამხატვრო სკოლის შენობა გარემონტება.

ლევან ხინთიბიძემ არასწორად მიიჩნია ადგილობრივი ბიუჯეტიდან თავდაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაფინანსება.

–ეს არ არის ადგილობრივი ბიუჯეტისათვის დელეგირებული, შსს-ზე გათვალისწინებული 50 ათასი ლარი ამოღებული უნდა იქნას 2013 წლის ბიუჯეტის პროექტიდან –განაცხადა მან.

ბიუჯეტის განხილვაში „MSI“ დემოკრატიული მმართველობის პროგრამის რეგიონული კოორდინატორი თამარ აბდალაძე ესწრებოდა.

ეტლს მიჯაჭვული თამუნა შავაძე დახმარების მოიმედეა

– „ოცი წლისას, 2006 წელის ზაფხულში საკუთარ ეზოში ხე დამეცა და ხერხემალი დამიზიანდა. ძალიან მძიმედ ვიყავი, ჩემს გადარჩენაში ეჭვიც კი ეპარებოდათ. შემთხვევის შედეგად მოვიტეხე კისრის მეხუთე და მეექვსე მალა. პარალიზებული მქონდა ოთხივე კიდური, არ მქონდა შეგრძნებები, ვერ ვჯდებოდი" თქვა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჟურნალისტებთან შეხვედრისას თამარ შავაძემ. ამ ეტაპზე მდგომარეობა შედარებით უკეთესია. – „უკრაინაში გავლილი მკურნალობის ორი კურსის შემდეგ მოვახერხე დაჯდომა, დავიწყე ლაპარაკი, ადამიანებთან ურთიერთობა აღარ მიჭირს“ – ამბობს თამარი. მისივე თქმით, შესაძლებელია სრული განკურნებაც. ამისთვის აუცილებელია ოპერაცია, რომელსაც ისრაელში აკეთებენ. „ჩემი მონაცემები გადავაგზავნეთ ისრაელში. მოვიდა პასუხი, რომ სტამბულში უნდა ჩამეტარებინა გამოკვლევები. 2010 წელს ჩავიტარე გამოკვლევები, რომელმაც აჩვენა, რომ შესაძლებელია სრული განკურნება. ახლა მთავარია ოპერაციისთვის საჭირო თანხის შეგროვება მოხერხდეს. იქნებ გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები, რომლებიც დამეხმარებიან“, ამბობს თამარი.

თამარ შავაძის სახელზე საქართველოს ბანკში გახსნილია ანგარიში

მიმღები ბანკი: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE 22
მიმღების დასახელება:
შავაძე თამარ;
მიმღების ანგარიშის ნომერი:
GE77BG0000000318014700

შოთა გოგიბერიძე ფიქრობს, რომ რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს

მარი კოკოევი

პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის" ოზურგეთის ორგანიზაციის ლიდერი, შოთა გოგიბერიძე შესაძლოა პარლამენტის წევრი გახდეს. მას ამჟამად სათადარიგო პარლამენტარის სტატუსი აქვს. ასევე საზოგადოებაში ვრცელდება ხმები, რომ შესაძლოა გოგიბერიძე ადგილობრივ ხელისუფლებაში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე დაინიშნოს.

შოთა გოგიბერიძე: –კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“ 200 კაციანი საპარლამენტო სიით იღებდა არჩევნებში მონაწილეობას. აქედან ასკაციანი სია წარადგინა „ქართულმა ოცნებამ“, ხოლო მასში შემავალმა პარტიებმა 20-20 კაციანი სია. მე გახლდით პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ პარტიული სიის პირველ ათეულში მეცხრე, საერთო სიაში 92-ე ნომერი. ამჟამად მაქვს სათადარიგო პარლამენტარის სტატუსი. ჩემს წინ გახლდათ დავით დარახველიძე, რომელიც ბატონი ბიძინა ივანიშვილის და პარლამენტის გადაწყვეტილებით იქნა დანიშნული ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად. ამიტომაც, თუ როტაციის პრინციპი განხორციელდა, პარლამენტის რომელიმე წევრი ეროვნული ფორუმიდან ხელისუფლებაში გადავიდა, საქართველოს პარლამენტის წევრი გავხდები. ჩემთვის, როგორც ადგილობრივი ლიდერისთვის, პოლიტიკოსისთვის რა თქმა უნდა ეს იქნება უმნიშვნელოვანესი მიღწევა. რასაც ელიან კიდეც ჩემი თანამებრძოლები და თანამოქალაქენი. თუკი ეს მოხდა, ძალიან ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებ. გახლავართ პროფესიით იურისტი. დამთავრებული მაქვს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, მაქვს საჯარო ხელისუფლებაში მუშაობის დიდი გამოცდილება. უამრავი საკანონმდებლო აქტის შემუშავებაში მაქვს მონაწილეობა მიღებული.

გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

26 ნოემბერი, ორშაბათი	27 ნოემბერი, სამშაბათი	28 ნოემბერი, ოთხშაბათი	29 ნოემბერი, ხუთშაბათი	30 ნოემბერი, პარასკევი	1 დეკემბერი, შაბათი	2 დეკემბერი, კვირა
წვიმა +6+13	მზე, ღრუბელი +6+13	მზე, ღრუბელი +7+14	მზე, ღრუბელი +7+14	მზე +8+17	წვიმა +7+14	მზე +7+14

შოთა გოგიბერიძე ფიქრობს, რომ რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს

ვფიქრობ, რომ ჩემი გამოცდილება, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, რითაც მოვდივარ მთელი ცხოვრება, გამოადგება ჩემს ქვეყანას და რაიონს.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა თქვენ გურიის გუბერნატორის პოსტზე გიხილოთ.

—შემიძლია მხოლოდ ერთი პასუხი გაგცეთ, ნაადრევად მეჩვენება ამაზე საუბარი. საზოგადოებაში გაჩნდა ეს აზრი (რისთვისაც მე ამგვარად მოაზროვნე ადამიანების მადლობელი ვარ) იმიტომ, რომ მას აქვს უკმარისობის გრძნობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაკავშირებით და ეძებს გამოსავალს, რათა სამხარეო ადმინისტრაციის დონეზე მაინც შეიცვალოს ხელისუფლება. მთავრობის საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში არის მუხლი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო რწმუნებული ინიშნება საქართველოს პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით. თუკი მოხერხდება ამ მუხლის შეცვლა შემდეგი რედაქციით „ნიშნავს საქართველოს პრემიერ მინისტრი პრეზიდენტთან შეთანხმებით“, მაშინ პრემიერმინისტრს ექნება შესაძლებლობა რეგიონებში ღირსეული ადამიანები დანიშნოს. ვფიქრობ, ეს დროის საკითხია. გარდა ამისა საქართველოს პარლამენტი, სამოქალაქო საზოგადოება სერიოზულად უნდა დაფიქრდეს ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობაზე. უნდა გატარდეს რეალური რეფორმა ხელისუფლების დეცენტრალიზაციისთვის. უნდა იმსჯელონ, როგორ უნდა დალაგდეს თვითმმართველობის სქემა, ეს იქნება ორ თუ სამ საფეხურიანი. „ქართული ოცნება“ მხარს უჭერს სამ საფეხურიან თვითმმართველობას. მიმაჩნია, რომ სოფლების დონეზე მოსახლეობას უნდა მიეცეს ადგილობრივი ხელისუფლების პირდაპირი არჩევის საშუალება.

— სანამ მოხდება ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმა, რა პრინციპებით უნდა განხორციელდეს თვითმმართველობა რეგიონებში, რა პრინციპებით უნდა მართოს გამარჯვებულმა პოლიტიკურმა ძალამ პროცესები?

—უპირველეს ყოვლისა უნდა დაიწყოს ცვლილებები აღმასრულებელ ხელისუფლებაში. უნდა გადადგეს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი. მოსახლეობაზე ყველაზე მეტად აისახება ადგილობრივი აღმასრულებელი სტრუქტურების მიერ მიღებული გადაწყვეტილება. თვითმმართველობის ორგანომ უნდა განიხილოს „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი გამგებლობის კანდიდატი. ეს არის საკითხი, რაც საზოგადოებაში ერთგვარ სიმშვიდეს შეიტანს. ეს იქნება პირველი ნაბიჯი, რომ დაიწყოს საზოგადოების მიერ არჩევნების გზით მიღებული გადაწყვეტილების რეალიზება. გამგებლის დანიშვნის შემდეგ მოხერხდება საბიუჯეტო პროცესის სწორად წარმართვა, საკადრო ცვლილებების გატარება.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ იქმნება ახალი სამოქალაქო გაერთიანება. გაქვთ თუ არა ინფორმაცია ამის შესახებ?

—დაწვრილებითი ინფორმაცია მსგავსი სამოქალაქო გაერთიანების შესახებ არ გამაჩნია. მეც თქვენსავით მაქვს ინფორმაცია, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს ორგანიზაციის შექმნას. მივესალმები ყველა ასეთ სამოქალაქო აქტივობას. რა თქმაუნდა, ამ, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელი და ხელმძღვანელი რეგიონში აქტიურად ვითანამშრომლებ ყველა მსგავს გაერთიანებასთან. მე მგონია ეს იქნება ძალიან პოზიტიური ნიშნის მატარებელი ჩვენი საზოგადოების განვითარებისათვის. მსგავსი სახის გაერთიანებები „ნაც მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც რომ შექმნილიყო, კარგი იქნებოდა, თუმცა სამომავლო საქმიანობაშიც ბევრი იქნება ისეთი საკითხი, რომელსაც საზოგადოებრივი კონტროლი დასჭირდება. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით ვითანამშრომლოთ.

— რა კომენტარს გააკეთებდით ამჟამად საზოგადოებაში შექმნილ მოლოდინებთან დაკავშირებით?

—არ მაქვს უფლება არ გავაკეთო შეფასება რეგიონში და რაიონში მიმდინარე მოვლენებზე. როცა ხელისუფლება შეიცვალა, ბუნებრივია ხალხს აქვს მოლოდინი და სურვილი, ეს აისახოს მათი სოფლის, ქალაქის, რაიონის განვითარებაზე. არადა სურათი სულ სხვაა. ოზურგეთში ჯერ არაფერი იცვლება. ადგილზეა ისევ ის სამხარეო ადმინისტრაცია, გუბერნატორი, გუნდი, რომელიც ნაც. მოძრაობის საარჩევნო შტამბს ხელმძღვანელობდა. იწვნიეს მარცხი, მაგრამ არ გრძნობენ არანაირ მორალურ პასუხისმგებლობას და კვლავაც რჩებიან სამსახურებში. უფრო მეტიც, იზრდიან ხელფასებს, იღებენ პრემიებს. იგივე პრინციპით აგრძელებენ მუშაობას, რა პრინციპითაც ნაც. მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს. იგივე შეიძლება ითქვას თვითმმართველობის ორგანოზე. არ ითვალისწინებენ ქართველი ხალხის არჩევანს. ვფიქრობ, საზოგადოებამ ისინი ადეკვატურად უნდა შეაფასოს. მათ უნდა დაეკისროთ და გაიზიარონ ის პასუხისმგებლობა, რაც ნაც. მოძრაობას ეკისრება. მე მინდა შევახსენო მკითხველს, თუ რა საშინელებებს გადარჩა საზოგადოება „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლით და რა მოვლენების თანამონაწილენი ბრძანდებიან ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობის პირები: ნულოვანი ტოლერანტობა და უკანონო ქუჩის დახვრეტებისა და დაპატიმრებების კასკადი; ადამიანების ცემა და წამება; 2007 წლის შვიდი ნოემბერი, ძალადობები 2009 წლის აპრილ-მაისის აქციებზე; ტრაგედიად ქცეული 2011 წლის 26 მაისი; მართლმსაჯულების სრული განადგურება. მკითხველმა კარგად იცის, რომ სამართლის ძიებაში ადამიანები საერთაშორისო სტრასბურგის სასამართლოს მიმართავდნენ. შეიქმნა პრეცედენტი, როცა პატარა ქვეყნიდან აურაცხელი საჩივრის განსახილველად სტრასბურგში შეიქმნა სპეციალური დამატებითი ჯგუფი. გარდა ჩამოთვლილისა, მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენს ხელთ არის სრული ინფორმაცია მათი დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ. საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვებისა და ინფრასტრუქტურულ პროექტებში „შავი ფულის„ გათეთრებისა, სოფლის დახმარების პროგრამებით გათვალისწინებული თანხების მითვისებისა და ა.შ. თუმცა მიმაჩნია, რომ აღნიშნული საკითხებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური და საჭიროების შემთხვევაში სამართალდამცავი სტრუქტურები უნდა დაინტერესდნენ.

თვენახევარი გავიდა საპარლამენტო არჩევნებიდან. ყველას აქვს გაცნობიერებული თუ რა ფსონი კეთდებოდა ამ არჩევნების დროს. ვფიქრობ, ეს არ იყო უბრალოდ არჩევნები. პირველ ოქტომბერს საქართველოს მოქალაქეებმა ერთგვარი მდუმარე მანიფესტაცია ჩაატარეს და მიიღეს სწორი გადაწყვეტილება. ეს იყო სამოქალაქო პროცესი, რაც აღბეჭდილი იყო ძალიან დიდი სირთულეებით. ნაც. მოძრაობა იყენებდა ყველა რესურსს ხელისუფლებაში დასარჩენად, თავიანთი ძალაუფლების გასახანგრძლივებლად. იყო უამრავი მცდელობა გაყალბებისა, ზეწოლა, შევიწროვება. აპატიმრებდნენ ადამიანებს, აშინებდნენ. იყო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მოსყიდვის ფაქტები. ამაზრზენი ფაქტები პატიმრების და პრობაციონერების საარჩევნოდ გამოყენებისა. ალბად სრულყოფილ ჩამონათვალს ვერც გავაკეთებ. რაც ყველაზე ცუდია, საინფორმაციო სივრცე ჰქონდათ დახშული. ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ მოქალაქეებს არ ჰქონოდათ სწორი ინფორმაცია. ამ ფონზე ადამიანებმა თავდადების თავგანწირვის ფასად მიიღეს მოქალაქეობრივი დაგაწყვეტილება და დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია. ჩვენ უბრალოდ კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ ორგანიზაციულ სტრუქტურებს გვევალებოდა დაგვეცვა ხალხის არჩევანი. ჯანსაღად მოაზროვნე საზოდაგოება დაუდგა გვერდით ბატონ ბიძინა ივანიშვილს და იქნა მიღწეული გამარჯვება.

გაზეთ „ალიონის" მკითხველს ვუსურვებ კვლავაც კრიტიკული ხედვით, გონივრულად და მოთმინებით ადევნოს თვალყური ქვეყანაში და რეგიონში მიმდინარე პროცესებს. ყველას ვარწმუნებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ახალი ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს, რათა შეასრულოს წინასაარჩევნო დაპირებები და ღირსეულად წარსდგეს საზოგადოების წინაშე.

პრობლემა მშვიდობიანი დიალოგით უნდა მოვაგვაროთ

ნუგზარ ასათიანი

სოფ. ნიგვზიანში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველ მუსლიმთა კავშირმა“ შეხვედრა გამართა. ამ შეხვედრაზე რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი და მედია სექტორის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ არასამთავრობო სექტორი რეგიონიდან მხოლოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციით და აჭარიდან სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციით იყო წარმოდგენილი. შეხვედრაზე არ იყვნენ მოწვეული ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლები.

თავდაპირველად ისტორიკოსი რუსლან ბარამიძე დარბაზში მყოფთ ისლამის გავრცელების ისტორიაზე ესაუბრა აჭარაში და აღნიშნა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს 1877-78 წლებში ზემო აჭარიდან სოფ. ზოტში ათეულობით ოჯახი გადმოვიდა, რომლებსაც ყოველგვარი დახმარება გაუწია გურიელმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ. გარდა ზოტისა და ჩხაკაურისა, მრავალი ათეული წელია გურიის დაბებსა და ბევრ სოფელში გვერდიგვერდ თანაარსებობენ ორთავე კონფესიის წარმომადგენლები და ნიგზიანის ინციდენტამდე მათ შორის დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. მუსულმანი მოსახლეობა პარასკეობით და რელიგიურ დღესასწაულებზე ადგილობრივ სალოცავებში ლოცულობდა. ამჟამად გურიაში მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტს ზემო აჭარიდან ჩამოსახლებული მიგრანტები შეადგენენ. მოიყვანეს მაგალითი, რომ ზემო აჭარიდან ნინოწმინდის რაიონში ჩასახლებულ მოსახლეობასა და ადგილობრივ სომხებს შორის იყო უთანხმობა კერძოდ შესყიდულ სახლში სალოცავების გახსნასთან დაკავშირებით.

მუსლიმთა კავშირიდან, ყოფილმა მუფტმა ზურაბ ცეცხლაძემ აღნიშნა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II გენიალური ადამიანია. პატრიარქის მოგონებებიდან ასეთი ეპიზოდი მოიყვანა: როცა ილია შიოლაშვილი ვლადიკავკაზში ცხოვრობდა, მათ ოჯახში ხშირად მოდიოდნენ სტუმრები როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმები. მამამისს ერთი ოთახი ხალიჩებით ჰქონდა მორთული, რათა მუსლიმ სტუმრებს იქ ლოცვის საშუალება ჰქონოდა...

შეკითხვაზე, თუ რატომ ხსნიდნენ კერძო სახლში სალოცავებს და ამისთვის მთავრობას არ მიმართავდნენ, ზურაბ ცეცხლაძემ უპასუხა, რომ ოფიციალურად სალოცავის გახსნის საშუალებას არსებული კანონმდებლობა არ იძლეოდა, თუმცა არ ზღუდავდა კერძო სახლში სალოცავის გახსნას. ამის მაგალითად მან სოფ. მთისპირი მოიყვანა, სადაც ამ რამდენიმე წლის წინ კერძო სახლი შეიძინა და იქ სალოცავი—ჯამე გახსნეს.

ნიგვზიანის ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ „რეზონანსის“ ჟურნალისტმა ნინო მშვიდობაძემ დასვა კითხვა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გია გოგუაძე შეჰპირდა მუსულმან მრევლს, რომ თუ არჩევნებზე ხმებს მომცემთ, სოფელში მეჩეთს აგიშენებთო, რამაც მოსახლეობის გაღიზიანება გამოიწვია.

მუსლიმთა კავშირის წარმომადგენლის ტარიელ ნაკაიძის აზრით, ის რაც ნიგვზიანში მოხდა, ეს არ არის მოსახლეობიდან დაწყებული პრობლემა და იგი ადგილობრივი სასულიერო პირების მიერ იყო პროვოცირებული...

ამ წერილის ავტორმა აღნიშნა, რომ ქართველები ყოველთვის ტოლერანტობით გამოირჩეოდნენ და არასდროს არ ყოფილა რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება ქრისტიან და მუსლიმ მრევლს შორის. ერის დიდი მამები ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი სიფრთხილით ეკიდებოდნენ თურქების ტყეობიდან დახსნილი დედააჭარის მოსახლეობას და ამისთვის იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენაში“ სათანადო ცვლილებებიც კი შეიტანა. არასწორია, ის რომ არჩევნებზე ნაციონალური ხელისუფლება უხერხულ სიტუაციაში აყენებდა სასულიერო პირებს და აიძულებდა აქტიურად ჩართულიყვნენ საარჩევნო პროცესებში... არც ერთი აღმსარებლობის ადამიანს არ უნდა შეეზღუდოს ლოცვის საშუალება. მაგალითად, სოფ. ჭანიეთში მართლმადიდებელ ქრისტიანებს არ აქვთ სალოცავი, ასეთი სხვა ფაქტების დასახელება შეიძლება. მსგავსი დიალოგები ხელს შეუწყობს არსებული პრობლემების მოგვარებას.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელის თამაზ ტრაპაიძის აზრით, არც ერთი აღმსარებლობის ადამიანის კონსტიტუციური უფლებები არ უნდა დაირღვეს.

დიალოგს მოგვიანებით სოფ. ნიგვზიანის 3-კაციანი დელეგაცია შემოუერთდა. მათი თქმით, სოფლიდან მეტი ადამიანი აპირებდა ოზურგეთში შეხვედრაზე ჩამოსვლას, მაგრამ ადამიანთა ერთმა ჯგუფმა ისინი არ გამოუშვა.

პედაგოგმა ზოია ტულუშმა თქვა, რომ ნიგვზიანის მოსახლეობა არ უშლიდა ხელს მათ თანასოფლელებს ლოცვაში, მაგრამ პრობლემა მას შემდეგ გაჩნდა, რაც კერძო სამლოცველო სახლში ათეულობით მლოცველმა იწყო მოსვლა სხვა სოფლებიდან და აჭარის რეგიონიდან. მოსახლეობას დაებადა კითხვა, ეს ადამიანები, რომლებიც ჩვენი მეზობლები არიან, რატომ არაფერს არ შეგვეკითხნენ, ან რატომ არ გახსნეს სამლოცველო სოფლის იმ უბანში, სადაც ისინი უფრო კომპაქტურად არიან ჩასახლებულები.

ასევე ნიგვზიანელმა, ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელმა შორენა ჭანტურიამ აღნიშნა, რომ ტოლერანტობა უნდა იყოს ორმხრივი. მან ასეთი მაგალითი მოიყვანა: ფოთისა და ხობის ეპარქიას სოფ. შავღელეში უნდოდა ტაძრის აგება. ჩავიდნენ სოფელში და იმ უბანში მივიდნენ, სადაც ეკომიგრანტები ცხოვრობენ. მოსახლეობამ უარი განაცხადა ქრისტიანული ტაძრის აგებაზე. ეპარქიამ გაითვალისწინა მათი აზრი და ტაძარი 5 კილომეტრის დაცილებით, სხვა უბანში ააგო. ამჟამად სოფ. ნიგვზიანში გახლეჩილია მოსახლეობის აზრი, მაგრამ ნიგვზიანელები არავის არ უშლიან ლოცვას, ეს პრობლემა არჩევნების შემდეგ ადგილზე შეიქმნა.

ზურაბ ცეცხლაძე გაღიზიანდა და ნიგვზიანელებს უპასუხა, რომ რატომ უნდა ეკითხათ, როცა კერძო სახლში სალოცავს ხსნიდნენ. განა ვინმემ იკითხა, როცა ზემო აჭარაში, სადაც ქრისტიანი მოსახლეობა არ ცხოვრობს, როცა ტაძარი გაიხსნა...

მიუხედავად ამისა, როგორც მუსლიმთა წარმომადგენლების, ისე სოფ. ნიგვზიანის წარმომადგენლების, არასამთავრობო სექტორის და მედიის აზრი იყო ერთნაირი ასეთი დაპირისპირების დროს პრობლემა მშვიდობიანი დიალოგით მოვაგვაროთ და აუცილებელია ორთავე კონფესიის ინტერესების გათვალისწინება.

გილოცავთ გიორგობის დღესასწაულს!

გილოცავთ გიორგობას. წმიდა გიორგი იყოს თქვენი მფარველი!

გია ნაკაიძე,
„ენერგო პრო ჯორჯიას“
ოზურგეთის ფილიალის მენეჯერი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო თეატრი გილოცავთ გიორგობას

წმიდა გიორგის მადლი გფარავდეთ!

ლაშა კუტალაძე,
საბავშვო თეატრის დირექტორი.



ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი გილოცავთ გიორგობას-წმიდა გიორგის მადლი გფარავდეთ!

ზაზა ჯინჭარაძე,
თეატრის მმართველი.

შპს „ვასაძის პური“ გილოცავთ გიორგობას–წმიდა გიორგის მადლი გფარავდეთ!

ხარაჩოები ცისკენ მიიწევენ

ოთხი წელია ქ. ოზურგეთში, ექადიის უბანში, ამაღლებულ ადგილას, რომელიც ქ. ოზურგეთს გადმოჰყურებს მიმდინარეობს ექადიის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობა. ადრე ამ ალაგას იდგა ტაძარი, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში კომუნისტებმა დაანგრიეს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ძველი ტაძრის ფუძის გვერდით მამა შიოს (მენაბდე) ძალისხმევით აიგო ჯვართამაღლების ხის ეკლესია, რომლის არქიტექტორი და მშენებელი ოზურგეთელი ზურაბ გუჯაბიძე იყო.

გავიდა ხანი და უფლის წყალობით და კეთილი ადამიანის ძალისხმევით დაიწყო ძველი ტაძრის ფუძეზე ახლის მშენებლობა. ექადიელი ბიზნესმენი მერაბ კონტრიძე უკრაინაში მოღვაწეობს. სწორედ მან ითავა ტაძრის მშენებლობის დაფინანსება.

ოზურგეთელი არქიტექტორისა და მშენებელის ზურაბ გუჯაბიძის ანგარიშზე ექადიის ხის ეკლესიას ბოხვაურის წმიდა სოფიას ტაძარიც დაემატა. ახლა კი ახალ ტაძარს აშენებს.

ზურაბ გუჯაბიძე:

– ახალი ტაძარი ძველის ფუძეზე შენდება. მას დაემატა სადიაკვნე და სამკეთლო. მშენებლობა რთულ პირობებში მიმდინარეობს. ქვემოდან საბაგირო გზით ამოგვაქვს სამშენებლო მასალები. ტაძრის პერანგი მასიური ქვისგან კეთდება. ვიყენებთ ქუთაისის (ეკლარას) კირქვას. ტაძრის სიმაღლე 21,5 მეტრი იქნება. დაწყებულია გუმბათის მშენებლობა და თუ ამინდები დარჩა წელს დასრულდება. შემდეგ დაიწყება ტაძრის შიგა სამუშაოები და იგი 1013 წელს დასრულდება.

23 ნოემბერს, გიორგობას მშენებარე ტაძარში

ივანიშვილის კლინიკა კვლავ ხალხის სამსახურშია

ნუგზარ ოთარიშვილი

5 წელია შეკვეთილში, ცნობილი აკვაპარკის გვერდით ფუნქციონირებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკა „ემერჯენსი“, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოში განხორციელებული უამრავი კეთილი საქმის ერთ-ერთი ეპიზოდია. როგორც იცით, შემდგომში „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ ივანიშვილს არ მისცა საშუალება ასეთი უფასო მომსახურების კლინიკები სხვაგანაც გახსნილიყო.

–სასწრაფო გადაუდებელი დახმარების კლინიკას გააჩნია უახლოესი აპარატურით აღჭურვილი რენტგენოლოგიური, ლაბორატორიული, ექოსკოპიური, კარდიოგრაფიული კაბინეტები. აქ მოხვედრილ პაციენტს პირველად დახმარებას გაუწევენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. კლინიკაშია სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელიც 24 საათის განმავლობაში მზადაა გადაუდებელი მომსახურებისათვის.

კლინიკის მთავარმა ექიმმა ალექსანდრე მახარაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მიუხედავად კლინიკის პროფილისა, მათ ყოველდღიურად ათეულობით ადამიანი მიმართვას გურიის რეგიონიდან, ფოთიდან, ქობულეთიდან, შუახევიდან და ა.შ. ზაფხულში მათი რიცხვი ძალიან დიდია. ექიმები პირველად კონსულტაციას უწევენ მათ.

„ემერჯენსში“ ოზურგეთელი ექიმი თამარ დარჩია მუშაობს. მან მეგზურობა გაგვიწია და საუკეთესო აპარატურით აღჭურვილი რეანიმაციის და სხვა განყოფილებები დაგვათვალიერებინა. თანამშრომლებს გავესაუბრეთ.

–ოზურგეთიდან ჩვენთან ტრანსპორტირება ჭირს. ამიტომ მუშა-მოსამსახურეები აქ სპეციალურ ავტობუსს გადაჰყავს. ავტობუსი გარდა ჩვენი კლინიკისა, სხვებსაც უფასოდ ემსახურება.

გასულ წლებში მოსახლეობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან ქონდა თხოვნა, რომ მუნიციპალურ ტრანსპორტს დღის განმავლობაში გაეკეთებინა 1-2 რეისი, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს საკითხი ვერ გადაწყვიტა...

ჩვენი კლინიკაში სტუმრობისას იქ შუახევლები მოვიდნენ. მათ კვალიფიციური კონსულტაცია თერაპევტმა რამაზ ჭეიშვილმა გაუწია.

–სხვა კლინიკაში იმდენად ძვირია მომსახურების ტარიფი, ექიმთან კონსულტაციაზეც ვერ მიხვალ თუ სადაზღვევო პოლისი არ გაქვს. აქ კონსულტაციას გაგვიწევენ და შემდგომ მიმართულებას მოგვცემენ–გვითხრეს მათ.

რაც შეეხება ჩვენს ტრანსპორტირებას, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ასეთი მარშრუტი გავიარეთ: ოზურგეთი-ქობულეთი-ჩოლოქი– შეკვეთილი და პირიქით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილას მისვლა ასეა შესაძლებელი...

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კვლავ შვებულებაში გავიდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ილია ვაშაყმაძე, რომელიც იმავდროულად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელია, მორიგ შვებულებაში გავიდა.

სექტემბერში იგი თავისი თანამდებობიდან გამომდინარე, ნაციონალების საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. არჩევნებში მმართველი პარტიის დამარცხების შემდეგ კუთვნილ ფასიან შვებულებაში გავიდა. შვებულებიდან გამოსვლისთანავე უცხოეთში იმყოფებოდა ადრე დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში.

როგორც სანდო წყარომ გვითხრა, ილია ვაშაყმაძე არჩევნებში დამარცხებისთანავე აპირებდა გადადგომის შესახებ განცხადების დაწერას, მაგრამ მას ამის უფლება გურიის გუბერნიის „ერთიანმა გუნდმა“ არ მისცა. ამჯერად იგი უფასო შვებულებაში გავიდა.

ილია ვაშაყმაძის მორიგ შვებულებაში გასვლის შესახებ ინფორმაცია დაგვიდასტურა მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურის უფროსმა ნინო სალუქვაძემ. მისი თქმით, ვაშაყმაძე მორიგ შვებულებაში გასული კვირის დასაწყისში გავიდა.

გამგებელს უცხოეთში მოგზაურობის შესახებ ჟურნალისტებთან შეხვედრა არ გაუმართვას.

მურთაზ აბაშიძე სამართალს ითხოვს, ანუ თაროზე შემოდებული საქმის ახალი სიცოცხლე

ნინო ნიკოლაიშვილი

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ოზურგეთის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ოზურგეთის მკვიდრმა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანმა მურთაზ აბაშიძემ პრესკონფერენცია გამართა. ორგანიზატორი „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი გიორგი გირკელიძე.

მურთაზ აბაშიძე სამეწარმეო საქმიანობას 2002-2007 წლებში ეწეოდა. ჰქონდა სავაჭრო ჯიხური, ეწეოდა პროდუქტებით ვაჭრობას. 2009 წლის დეკემბერში გადაეცა გურიის საგადასახადო ინსპექციის 17. 12, 2009 წლის № 16-15-06/ წერილი, რომლის მიხედვითაც მის ქონებაზე წარმოშვა საგადასახადო გირავნობა ასევე მიიღო ფოთის საგადასახადო ინსპექციის წერილი, 2006 წლის 9 ივნისის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №823 და ფოთის საგადასახადო ინსპექციის 16.06.2006 წლის ბრძანება №159.

მურთაზ აბაშიძის ადვოკატის კახა ჩავლეიშვილის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს საგადასახადო დავალიანება ერიცხებოდა ორი საფუძვლით. პირველი - საგადასახადო დავალიანება 2002-2003 წლების მიხედვით საშემოსავლო გადასახადი და მასზე დარიცხული საურავი სულ 1047,65 ლარი, და მეორე - სსკ 139-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია 500 ლარი.

მიმდინარე პროცესების გამო მურთაზ აბაშიძემ მიმართა სასამართლოს, მოთხოვნებით

1. ბათილად ცნობილ იყო 05.10. 2009 წლის №3383 ბრძანება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ;

2. ბათილად იქნეს ცნობილი გურიის საგადასახადო ონსპექციის 17.02.2010 წლის საგადასახადო გირავნობის /იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ შეტყობინება.

31.05.2011 წლის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული აქტები პრეზუმციული გადასახადის ნაწილში (1047,65 ლარი). ხოლო სალარო აპარატის უქონლობის გამო დარიცხული ჯარიმის საქმე განსახილველად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაეგზავნა, რომელმაც გააუქმა დარიცხული ჯარიმა 500 ლარი. თუმცა 2012 წლის 2 მაისს აბაშიძეს გადაეცა შეტყობინება კვლავ წარმოშობილი გირავნობა/იპოტეკის შესახებ. მან ისევ მიმართა შემოსავლების სამსახურს საჩივრით, რათა გაეუქმებინათ შესაბამისი შეტყობინება, რაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და დაევალა მომსახურების დეპარტამენტს თანხების ჩამოწერა.

მიუხედავად ზემოთჩამოთვლილი პროცედურებისა, მურთაზ აბაშიოძის ქონება დღემდე დაყადაღებულია, მეტიც, მას ეჭრება ომის ვეტერანის კუთვნილი ყოველთვიური დახმარება 22 ლარის ოდენობით. ჩამოაჭრეს ასევე ბაჟის სახით შეტანილი თანხა 300 ლარი.

– ყველაფერი ცნობილი „საკნების“ შემდეგ დაიწყო, რადგან გამაჩნდა ჩემი საკუთარი აზრი. ნაციონალების ხელისუფლებამ ჩემზე შურისძიება დაიწყო. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, წამალს ვერ ჩამიდებდნენ, ამიტომ მიზეზად მომინახეს პატარა მაღაზია, რომელიც მაქვს. ჩემს გამო რამდენიმეჯერ დააჯარიმეს ჩემი მეუღლე. ერთადერთ მიზეზად ამ საქმეში ჩემი ოპოზიციონერობა სახელდება. ნაცვლად იმისა, რომ გურიის შემოსავლების სამსახურს შესაბამისი ღონისძიებები გაეტარებინა ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილების დოკუმენტს, მათ ფარატინა ქაღალდი უწოდეს. და საკუთარ შეუზღუდავ უფლებებზე ალაპარაკდნენ. მათ შორის არ დაუშურებიათ უცენზურო სიტყვებიც. მე სამართალს მოვითხოვ და იმ ადამიანთა პასუხისმგებლობის საკითხს ვსვამ, რომლებიც ჩემს საქმეში ფიგურირებენ.

აკაკი სიხარულიძე: – ფაქტიურად ადგილობრივი შემოსავლების სამსახურის მიერ უკანონოდ აქვს დაწერილი აბაშიძეს ჯარიმა 326 ლარი. ეს ის თანხაა, რომელსაც ის ყოველთვიურად იხდიდა თვეში 18 ლარის ოდენობით. ამ თანხას ის შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს კახა კვაჭანტირაძესა და ჯონი კუტუბიძეს ადგილზე უხდიდა. მაშინ არ ითხოვდნენ შესაბამის ქვითრებს. როცა აღმოჩნდა, რომ ეს თანხა შესაბამის სტრუქტურაში გადახდილი არ იყო, გაიმართა სასამართლო. ამ საქმეს იძიებდა გამომძიებელი ელდარ ქირია - შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო ორგანოდან. მან ხალხი დაკითხა შემოსავლების სამსახურის კაბინეტში.(?!) - ჩვენსას ხომ არ დავსჯითო, ასე გამოუვიდათ.

კახა ჩავლეშვილი– ეს საქმე ბევრი კრიმინალური ელემენტის შემცველია. მათ შორის, ჯერ გამოიცა ბრძანება, როცა არ გამოცემულა საგადასახადო მოთხოვნა. ეს საქმე 2003 წელს შემოიდო თაროზე და 2009 წელს გაცოცხლდა. ხშირად გამოძიება თვითონვე ანადგურებს მტკიცებულებებს, რათა გაძნელდეს მათივე წარმოებული საქმეების შესწავლა.

გურიის XVII რეგიონალური საჭადრაკო ჩემპიონატი დაიწყო

გურიის რეგიონალური საჭადრაკო ჩემპიონატების ჩატარების ისტორია 1995 წლიდან იწყება, ანუ მას შემდეგ, რაც ენთუზიასტთა ინიციატივით (ამირან ბერძენიშვილი, მზია წერეთელი, ზურაბ ანდღულაძე, ომარ ბიჭიკაშვილი, გიგლა და ვალტერ ლომჯარიები) გურიის ჭადრაკის ფედერაცია ჩამოყალიბდა. იგი ყოველწლიურად შემოდგომაზე იმართება და გურულ მოჭადრაკეთა წლის ერთგარ შემაჯამებელ ღონისძიებას წარმოადგენს. დღემდე ჩატარებული 16 ჩემპიონატიდან 10 ოზურგეთში გაიმართა, 5 ლანჩხუთში და ერთი ჩოხატაურში.

გაგაცნობთ ჩატარებული ჩემპიონატების სტატისტიკას:

I ჩემპიონატი, 1995 წ, ოზურგეთი, 9 მონაწილე – სპორტის ოსტატი ამირან ბერძენიშვილი (ჩოხატაური).

II ჩემპიონატი, 1996 წ, ოზურგეთი, 12 მონაწილე – ნუგზარ გვარჯალაძე (ლანჩხუთი).

III ჩემპიონატი, 1997 წ, ოზურგეთი,7 მონაწილე – რუსუდან ჭკუასელი (ლანჩხუთი).

IV ჩემპიონატი, 1998 წ, ლანჩხუთი, 12 მონაწილე – რუსუდან ჭკუასელი (ლანჩხუთი).

V ჩემპიონატი, 1999 წ, ლანჩხუთი, 14 მონაწილე – რუსუდან ჭკუასელი (ლანჩხუთი).

VI ჩემპიონატი, 2000 წ, ოზურგეთი, 13 მონაწილე – თორნიკე ხვედელიძე (ოზურგეთი).

VII ჩემპიონატი, 2001 წ, ოზურგეთი, 16 მონაწილე – ნუგზარ გვარჯალაძე (ლანჩხუთი).

VIII ჩემპიონატი, 2002 წ, ლანჩხუთი, 12 მონაწილე – მინდია ჩხიკვიშვილი (ოზურგეთი).

IX ჩემპიონატი, 2003 წ, ოზურგეთი, 12 მონაწილე – ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი).

X ჩემპიონატი, 2004 წ, ოზურგეთი, 11 მონაწილე ნუგზარ გვარჯალაძე (ლანჩხუთი).

XI ჩემპიონატი, 2005 წ, ოზურგეთი, 12 მონაწილე – ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი).

XII ჩემპიონატი, 2007 წ, ლანჩხუთი, 12 მონაწილე ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი).

XIII ჩემპიონატი, 2008 წ, ოზურგეთი, 16 მონაწილე – ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი).

XIV ჩემპიონატი, 2009 წ, ლანჩხუთი, 16 მონაწილე – ტარიელ ხუხუნაიშვილი (ლანჩხუთი)

XV ჩემპიონატი, 2010 წ, ოზურგეთი, 16 მონაწილე – ტარიელ ხუხუნაიშვილი (ლანჩხუთი)

XVI ჩემპიონატი, 2011 წ, ჩოხატაური, 12 მონაწილე – გივი ქორიძე (ჩოხატაური)

ამჟამად ჩემპიონატში 13 მოჭადრაკე მონაწილეობს. ესენია: (წილისყრის მიხედვით): სერგო წილოსანი, ზურაბ ქორიძე, კარლო ცხომელიძე, ტარიელ ხუხუნაიშვილი, გივი ქორიძე, მიშიკო ქურიძე, დათო ცეცხლაძე, ელგუჯა ურუშაძე, დავით კიღურაძე, ნუგზარ გვარჯალაძე, გივი სიამაშვილი, ადამ ხუხუნაიშვილი, აკაკი გოგუა.

I ტურში წარმატებას აკაკი გოგუამ, ადამ ხუხუნაიშვილმა, ნუგზარ გვარჯალაძემ, დავით კიღურაძემ და დათო ცეცხლაძემ მიაღწია.

ჩემპიონატს რეგიონალური კატეგორიის მსაჯები

"ტოლერანტობა - ეს არის სიყვარული"

16 ნოემბერს, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ინიციატივით, ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა ბავშვთა ნახატების გამოფენა "ტოლერანტობა - ეს არის სიყვარული".

საქართველოსთვის, როგორც მრავალეთნიკური სახელმწიფოსთვის, უმნიშვნელოვანეს და სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს საზოგადოების ტოლერანტობის ხარისხი, რაც საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში უნდა ვლინდებოდეს. ტოლერანტობა არის ადამიანის შესაძლებლობა აღიაროს, პატივი სცეს და გაითვალისწინოს სხვა ადამიანის რწმენა, ქცევა და ღირებულებები.

მოსწავლეები ყოველდღიურად განიცდიან სოციალური პრობლემების და ძალადობის ზეგავლენას. შეინიშნება ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ნაკლებობა. ბავშვთა ნახატების გამოფენის მიზანია ტოლერანტული ღირებულებების განვითარება, რათა მოსწავლეებმა არაძალადობრივი გზით განსხვავებული კულტურის, რასის, სქესის და რელიგიის მქონე ადამიანებთან წარმატებული ურთიერთობები დამყარონ; გააცნობიერონ, რომ მრავალფეროვნება ის უნივერსალური ღირებულებაა, რომელიც ყველა ჩვენგანს საერთო გვაქვს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა 10-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვების ნამუშევრები. მოსწავლეები ინდივიდუალურად წარადგენენ საკუთარ ნახატებს. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მედია და მოქალაქეები.

ვარდების რევოლუცია

შავ ოთახში, წითელ ვარდთან
დაფრინავდა ლუციფერი
მისი სული ჯამბაზობდა
სიხარულით ამაზრზენი.
შავ ოთახში, შავ კუბოსთან
დამდგარიყო უბედური,
მისი სული გაძრცვილიყო,
არ ხიბლავდა არაფერი.
ქართლის დედას ცრემლი დასდის,
გაბზარულა მისი გული:
„რად გინდოდათ ავღანეთი,
როცა გიხმობთ აფხაზეთი“,
შავ ოთახში წითელ ვარდთან
დამდგარიყო ლუციფერი,
იეშუას როცა ვხედავ
მახსენდება მისი მტერი.

რუსუდან მეგრელიშვილი.

იყიდება
ხის სახლი (ოთხი ოთახი)
გადასატანი
ფასი შეთანხმებით.
ტელ: 599 22 62 90

უახლოესი მეგობრები თანაუგრძნობენ ჯემალ კეჭაყმაძეს ძმის, **რომან კეჭაყმაძის** გარდაცვალების გამო

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru